№2717 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების - ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიური შეხვედრის ქ. თბილისში, 2016 წლის ივლისის თვეში, შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს პარლამენტის აპარატმა შეხვედრის ადგილის სათანადოდ მოწყობისა და შეხვედრის ორგანიზებისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**